ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 254

ქ. ბათუმი 15.10.2018 წელი

ერთი მხრივ სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო" (შემდგომში შემსყიდველი), წარმოდგენილი დირექტორის მოადგილის ჯემალ გვეტაძის სახით და მეორე მხრივ შპს „GNT", საიდენტიფიკაციო კოდი 401953775 მის: თბილისი, გრ. რობაქიძის განზ.7 კორპ. 4/30, მომსახურე ბანკი: ს/ს "თი ბი სი", ბანკის კოდი: TBCBGE22, ა/ნ GE61TB7076236020100007 წარმოდგენილი მისი დირექტორის თამარ ვარსიმაშვილის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

მომწოდებელი ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს ამა წლის 31 ოქტომბრისა შემსყიდველს აწვდის დანართი #1-ით (ფასების ცხრილი) გათვალისწინებულ საქონელს სახანძრო მოწყობილობების კომპლექტი (CPV – 35111000 სახანძრო მოწყობილობები).

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 1305 ლარს;
2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.
2.3. <u>დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი;</u>

3. მიწოდების ვადა და ადგილი მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

3.1. საქონლის მიღება-ჩაბარებას ახორციელებს ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირი.
3.2 საქონლის მიღება განხორციელდება, ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულებისა და რაოდენობის მითითებით გაფორმებული სასაქონლო ზედნადების საფუძველზე.
3.3. საქონლის მიწოდების ადგილია ქ.ბათუმი მ.აბაშიძის ქ.N41.

4. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალსწინებულ რეკვიზიტებზე ეროვნულ ვალუტაში.
4.2. ანგარიშსწორება ხორციელდება სასაქონლო ზედნადების შესაბამისად 10 სამუშაო დღის განმავლობაში. მიმწოდებელს პრეტენზია არ უნდა გააჩნდეს აუთვისებელ თანხაზე.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.
5.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ინჟინერი თენგიზ ზენაიშვილი.

6. სხვა პირობები

6.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან.
6.2. მოწოდებული საქონელი უნდა იყოს მაღალი ხარისხის და უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სტანდარტებს.
6.2. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
6.3. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ასევე დასტურდება, რომ შემსყიდველის წარმომადგენელს (ჯემალ გვეტაძე) არ გააჩნია, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ინტერესთა კონფლიქტი მომწოდებელთან.

7. მხარეთა ხელმოწერები

_____	_____
შემსყიდველი	მიმწოდებელი

ფასების ცხრილი				ხელშეკრულება # 254, 15,10,2018 წ.					
		დასახელება	CPV	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	თანხა	საერთო ღირებულება
1	სახანძრო მოწყობილობების კომპლექტი	სახანძრო მოწყობილობები - სახანძრო დეტექტორი კვამლის სამისამართო	35111000	კომპლექტი	5	55	275	1305
2		სახანძრო მოწყობილობები - საგანგაშო ღილაკი			1	45	45	
3		სახანძრო მოწყობილობები - ხმოვანი სირანა			1	25	25	
4		სახანძრო მოწყობილობები - ცენტრალური პანელი			1	730	730	
5		სახანძრო მოწყობილობები - კვების ბლოკი			1	150	150	
6		სახანძრო მოწყობილობები - აკუმულატორი			2	40	80	
ჯამი								1305

შემსყიდველი:

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დირექტორის მოადგილე

ჯემალ გვეტაძე

მიმწოდებელი:

შპს "GNT"
დირექტორი

თამარ ვარსიმაშვილი

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. ბათუმი

03 ოქტომბერი 2018 წ

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, მე ქვემოთ ხელისმომწერი ვადასტურებ, რომ არ გამაჩნია ინტერესთა კონფლიქტი შპს „GNT"- სთან.

ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
ინჟინერი თენგიზ ზენაიშვილი